ახალი ხარაგაული

№331 (23), 22 სექტემბერი, 2016 წ.

ხარაგაულში ახალი სამედიცინო კლინიკა გაიხსნა

ხარაგაულში ახალი სამედიცინო კლინიკა გაიხსნა. ცენტრის გახსნას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე, პაატა ნადირაძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ვალერი კვარაცხელია,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი პაატა გოგოლაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ახალ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტი როგორც გეგმიურ ისე გადაუდებელ მომსახურებას მიიღებს. ცენტრში 14 საწოლია განთავსებული, აქედან 3 სარეანიმაციოა. საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები ადგილზე ჩაუტარდებათ.

აღნიშნული სამედიცინო ცენტრის მშენებლობისა და აღჭურვის მეორე ეტაპის დასრულებამდე ხარაგაულში გეგმიური ამბულატორიისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებები მოქმედებდა და შეუძლებელი იყო სრული სამედიცინო დახმარების გაწევა პაციენტებისთვის. სამედიცინო ცენტრში 70-მდე თანამშრომელი დასაქმდება. მრავალპროფილური კლინიკის მშენებლობა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დააფინანსა. პროექტის განხორციელებისთვის ჯამში მილიონ ექვსასი ათასი ლარი დაიხარჯა და სამუშაოები შპს „მშენებელი 2004“-მა შეასრულა.

„ერთი წლის წინ ვიმყოფებოდი ხარაგაულში და აქ ფაქტობრივად საავადმყოფო არ არსებობდა. იყო დანგრეული შენობა, სადაც მუშაობა ექიმებს გაუსაძლის პირობებში უწევდათ. მაშინ მედპერსონალს შევპირდი, რომ ერთ წელიწადში ამ რაიონს ულტრათანამედროვე კლინიკა ექნებოდა და დაპირება შესრულდა. დღეს ხარაგაულის მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ყველა სერვისით, რომელიც მისი ჯანმრთელობისათვის გახდება საჭირო“,-განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ.

იმერეთის გუბერნატორის, გივი ჭიჭინაძის, თქმით, საქართველოს მთავრობა თავის დანაპირებს ასრულებს. „ხარაგაულში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საჩუქარია

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ შექმნის შესახებ კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ იმსჯელებენ

19 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ახალი ფრაქციის - „თავისუფალი არჩევანის“ შექმნის შესახებ იმსჯელეს. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა, აღნიშნულ საკითხზე კომისიის დადებითი დასკვნა წარმოადგინა. მიხეილ გელაშვილის თქმით, თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლების საფუძველზე, ახალი ფრაქციის, „თავისუფალი არჩევანის“, დაფუძნების საკითხი დადებითად გადაწყდა.

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა საკითხის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა. მისივე განცხადებით, არ შეიძლება სხდომა შემდგარად ჩაითვალოს, რადგან მას კომისიის წევრების საკმარისი რაოდენობა არ ესწრებოდა.

„კომისიის სხდომაზე სამი დეპუტატი მიხეილ გელაშვილი, ლადო ბუაჩიძე და იური ლურსმანაშვილი იმყოფებოდა. დანარჩენი წევრები ინფორმირებული არ ვიყავით. ქვორუმი არ შედგა და სხდომა რეგლამენტის დარღვევით ჩატარდა. აქედან გამომდინარე, კომისიის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა ახალი ფრაქციის, „თავისუფალი არჩევანის,“ შექმნის შესახებ ბათილია. ოქმში წერია, რომ სხდომას კომისიის წევრი გივი ხიჯაკაძე ესწრებოდა და მან გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღებისგან თავი შეიკავა. ეს არის სიცრუე, რადგან ბატონი გივი თავად ამბობს, რომ სხდომას არ დასწრებია. გარდა ამისა, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არსად არ ჩანს ფრაქციის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები. აშკარაა, რომ საკითხი შესწავლილი არ არის. ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ პოლიტიკური პლატფორმა არის ბუნდოვანი და იგი ემთხვევა პარტია „რესპუბლიკელების“ წესდებას. გარდა ამისა იურიდიული სამანდატო და საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლების მიხედვით, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ საკრებულოს უპარტიო წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს მხოლოდ ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში“ - აცხადებს ვარლამ ჭიპაშვილი და საკითხის ხელმეორედ განხილვასა და დამატებით შესწავლას ითხოვს.

ფრაქციის შექმნის შესახებ განმარტებას აკეთებს საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ზაალ ორბელაძე. მისივე თქმით, ეს საკითხი კანონმდებელმა მთლიანად იურიდიულ კომისიას მიანდო. თუ კომისია დადებით დასკვნას გასცემს, საკითხი ბიუროს სხდომაზე გავა. ამის შემდეგ კი ბიუროს წევრები მიიღებენ გადაწყვეტილებას, განიხილავენ თუ არა საკრებულოს სხდომაზე.

საბოლოოდ, „იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მიერ ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ შექმნის თაობაზე გაცემული დადებით დასკვნას ბიუროს წევრებმა მხარი არ დაუჭირეს. საკითხი დამატებით შესასწავლად კვლავ იურიდიულ კომისიას გადაეგზავნა.

მარიანა ბურჯალიანი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში საკვირაო სკოლა გაიხსნა

18 სექტემბერს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა, მელქისედეკმა (ხაჩიძე), სამეუფეო წირვა ჩაატარა. მეუფე მელქისედეკმა წირვის შემდეგ საკვირაო სკოლა გახსნა და აკურთხა, რომელსაც მამა ანტონი (სულთანიშვილი) უხელმძღვანელებს.

„მნიშვნელოვანია, რომ დღეს სამლოცველოს ბაზაზე საკვირაო სკოლა იხსნება, რომელიც ნებისმიერ თქვენგანს მიიღებს. დასხდებით და ისაუბრებთ სხვადასხვა საკითხზე, რომელიც ჩვენ სარწმუნოებას ეხება. მომავალში შეიძლება ვასწავლოთ გალობა, მედავითნეობა, ხელსაქმე და თანდათან გავძლიერდებით. ღმერთმა დალოცვილები და დღეგრძელები გამყოფოთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა“ - აღნიშნა მეუფე მელქისედეკმა.

ქადაგებისას მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მიღწევებზეც ისაუბრა: „მომავალი თაობა ღირსეულად უნდა აღვზარდოთ. თუ პატარა ასაკიდან არ ვასწავლეთ ბავშვებს, რომ მხოლოდ ღვთის მცნებებით უნდა იცხოვრონ, ვინაა უფალი და როგორ უნდა მივეახლოთ მას, მომავალი ძალიან რთული იქნება. ჩვენ ვცდილობთ, სწორ გზას დავაყენოთ მომავალი თაობები და ღვთის მოშიშნი გავზარდოთ ისინი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, რომელიც ძალიან წარმატებულია, გამორჩეულია თავისი მოსწავლეებითა და პედაგოგებით“ - განმარტა მეუფე მელქისედეკმა.

ეკა შავიძე

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო



15 სექტემბერს საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო. ეს მნიშვნელოვანი დღე ხარაგაულის საჯარო სკოლებს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გოგოლაძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მიულოცეს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში 204-მა მოსწავლემ ცოდნის დასაუფლებლად წელს პირველად შეაღო სკოლის კარი. პაატა გოგოლაძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება განსაკუთრებით პირველკლასელებს მიულოცა და დავით კიკნაძესთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები, „Lenovo“-ს ფირმის ნოუთბუქები გადასცა.

„სახელმწიფო, რომელიც მოქალაქის განათლებას დიდ ყურადღებას აქცევს, გარანტირებულია წარმატებისთვის. ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავს იმაზე, რომ ახალგაზრდებმა ფინანსური დანახარჯების გარეშე გაიკაფონ გზა უმაღლესი მწვერვალებისაკენ. ამის დასტურია ის, რომ რამდენიმე ფაკულტეტი უფასო გახდა. ასევე ყველა მოსწავლეს უფასოდ გადაეცა სახელმძღვანელოები, რაც ერთგვარი შეღავათია ოჯახებისათვის,“ - აღნიშნა პაატა გოგოლაძემ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, პედაგოგების სახელფასო ანაზღაურების გაზრდაზე ისაუბრა. მისივე ინფორმაციით, 2017 წელს მასწავლებლებს შრომის ანაზღაურება გაეზრდებათ. „ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც ყველაზე მაღალი ბიუჯეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს. ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ განათლებაში ჩადებული თითოეული თეთრი არის დივიდენდი იმისა, მომავალი

გაგრძელება მე-2 გვერდზე

უბისა-ღორეშის ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარის დაგება დასრულდა

სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე 5. 500მ გზაზე ბეტონის საფარი დაიგო. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და ჯამში მასზე 959 813 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები შპს„საპოვნელამ” შეასრულა. გზის ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაული-ღორეშა-უბისის საავტომობილო გზა, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან აკავშირებს და მუნიციპალიტეტის ხუთ ტერიტორიულ ერთეულზე გადის, სრულად რეაბილიტირდება. 21 კმ. გზის შუა ნაწილში მძიმედ დაზიანებული და ამორტიზებული დაახლოებით, 11 კილომეტრიანი მონაკვეთი, სოფელ სარგვეშის ტერიტორიაზე გადის. აღნიშნული გზის სარეაბილიტაციოდ ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია. სარგვეშის გზის მოასფალტების სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ახალი სამედიცინო ჯლინიკა გაიხსნა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ადგილობრივებისათვის, რადგან მათ სამედიცინო დახმარების მიღება ურთულეს პირობებში უნევდათ. მსგავსი პროექტების განხორციელება იმერეთის იმ მუნიციპალიტეტებშიც იგეგმება, სადაც ამის საჭიროებაა“.

ახალი საავადმყოფოს გახსნით მოხარულია კლინიკის მენეჯერი ქეთევან აბრამიშვილი და მთელი კოლექტივის სახელით მადლობას უხდის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას. „ხარაგაულში ახალი კლინიკის აშენება მეტად საჭირო და აუცილებელი იყო. ვფიქრობ, ძალიან კარგი საჩუქარია, რადგან ადგილობრივებს სამედიცინო მომსახურებისათვის სხვა რაიონში წასვლა აღარ მოუწევთ. სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. დამონტაჟდა ახალი რენტგენის აპარატი. გვაქვს მუდმივი დენის წყარო.მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა“.

რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, ნუგზარ ბოლქვაძის, თქმით, ახალი საავადმყოფო 14 საწოლზეა გათვლილი და პაციენტებს ნებისმიერი მომსახურების მიღება შეუძლიათ. „ეს არის ულტრათანამედროვე სტაციონარი, ციფრული რენტგენოგრაფიის შესაძლებლობითა და უნიკალური ლაბორატორიით, სადაც შესაძლებელია ყველა ანალიზის გაკეთება. ასევე აქ არის საოპერაციო ბლოკი და საჭიროების შემთხვევაში ოპერაციებიც ჩატარდება.“ - აღნიშნა ბატონმა ნუგზარმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, პაატა გოგოლაძის, განცხადებით, ხარაგაულში ახალი საავადმყოფოს აშენება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი მუშაობის შედეგია.

„წინა ხელისუფლების მიერ იყო დაპირება, რომ ხარაგაულში ახალი საავადმყოფო აშენდებოდა, ან ძველ შენობას ჩაუტარდებოდა რეაბილიტაცია. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და პრობლემის მოგვარებაზე არავინ იზრუნა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ აქტიურად დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და შედეგიც სახეზეა. მადლობა ჯანდაცვის სამინისტროს იმისათვის,რომ ჩვენს რაიონში ასეთი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა ააშენა. ხარაგაულელები ამას ნამდვილად იმსახურებდნენ და მისასალმებელია, რომ ისინი ყველა სახის სამედიცინო მომსახურებას დღეიდან ადგილზე შეძლებენ.“

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ემერჯენს“ ამბულატორია გაიხსნა. ამბულატორიის საერთო ფართობი 435 კვადრატული მეტრია და ის როგორც მცირე საოპერაციო, ასევე - რამდენიმე ადგილიან პალატას მოიცავს. პროექტი ჯანდაცვის სამინისტრომ დააფინანსა და მასზე, საერთო ჯამში, 548 045 ლარი დაიხარჯა. ამჯერად ამ შენობაში ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მომსახურება დარჩება, ხოლო ახლად აშენებულ საავადმყოფოში პაციენტებს კლინიკური მომსახურება გაეწევათ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში პირველკურსელებთან შეხვედრა გაიმართა

მეოთხე წელია, რაც მამუკა ჭიპაშვილის (გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში) ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის მხარდაჭერით სტუდენტური საღამო ტარდება. ტრადიციად ქცეული შეხვედრა 17 სექტემბერს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი ნინო დიდიძე) შედგა.

ღონისძიებას გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, პაატა გოგოლაძე, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი, იღუმენი ანტონი (სულთანიშვილი)ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ წელს 83 ხარაგაულელი გახდა სტუდენტი. საღამოს ორგანიზატორმა და გამგებლის მრჩეველმა ტურიზმის საკითხებში, მამუკა ჭიპაშვილმა, კიდევ ერთხელ მიულოცა მათ სტუდენტობა და სავალი გზები დაულოცა. „სადაც არ უნდა იყოთ, მჯერა, თქვენს ქვეყანას გამოადგებით. არ დაივიწყოთ ხარაგაული, სადაც დაიბადეთ, გაიზარდეთ. დიდ პატივისცემას იმსახურებთ იმისათვის, რომ შრომა დაუფასეთ, როგორც მშობლებს, ასევე მასწავლებლებს,“ - აღნიშნა მამუკა ჭიპაშვილმა.

ახალგაზრდებს სტუდენტობა მიულოცა და წამატებები უსურვა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, პაატა გოგოლაძემ:

„ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერ ეტაპზე გადახვედით. მოხარული ვარ, რომ თქვენი სახით ძალიან გონიერი თაობა მოდის. რა თქმა უნდა, სკოლის პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასია, მაგრამ წინ გელით დიდი გამოწვევა თავისუფალი აზროვნების, შემოქმედებისა და სწავლის. ვისურვებდი, რომ თითოეული თქვენგანი გამდიდრებული ენერგიითა და ცოდნით დაბრუნებოდეთ ჩვენს რაიონს.“

სტუდენტები დალოცა მამა ანტონმა (სულთანიშვილი) და მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსის, მეუფე მელქისედეკის (ხაჩიძე), ლოცვა - კურთხევა გადასცა. „ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. ეს არის ძალიან დიდი ძალა ხარაგაულისათვის. საამაყოა, რომ აქ პედაგოგები შემართებით მოღვაწეობენ და ასეთ თაობას უზრდიან საქართველოსა და დედა ეკლესიას,“-აღნიშნა მამა ანტონმა.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, ძალიან ბედნიერია, რადგან ამდენ მიზანდასახულ და წარმატებულ ახალგაზრდას უყურებს. „მჯერა, რომ თითოეული თქვენგანი სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გახდება. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ არაერთხელ გვქონია შეხება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სპორტულ თუ კულტურულ პროექტებთან. მოხარული ვარ, თუ რაიმე წვლილი შევიტანეთ თქვენს განათლებაში. მადლობა ყველა იმ პედაგოგს, რომლებიც ასეთ მომავალ თაობას უზრდის ხარაგაულს. გისურვებთ წარმატებებს,“-დასძინა ირინე ჩხეიძემ.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, თინათინ ბოჭორიშვილმა, კურსდამთავრებულების ამ დიდ წარმატებაში ხაზი პედაგოგების წვლილს გაუსვა. „სტუდენტობა მართლაც დაუვიწყარი და არაჩვეულებრივი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. მადლობა თქვენს მშობლებსა და მასწავლებლებს იმისათვის, რომ თქვენში ჩადეს დიდი შრომა, ყოველივემ კი თქვენი წარმატება განაპირობა.“

„თქვენ ძალიან ნიჭიერები ხართ და თქვენი იმედი ნამდვილად მაქვს,“ - ამ სიტყვებით მიმართა სტუდენტებს ისტორიული მუზეუმის დირექტორმა, ნინო დიდიძემ და იმედი გამოთქვა, რომ თავიანთი ნიჭითა და შესაძლებლობებით ისინი ხარაგაულს ნამდვილად ასახელებენ.

განსაკუთრებით მოეფერა თავის მოსწავლეებს წმინ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო

დასაწყისი პირველ გვერდზე

თაობა იყოს წარმატებული. გაუნათლებელი ადამიანი ღირებულს ვერაფერს ვერ შექმნის. ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის ზრუნავს, სკოლებში სასწავლო პროცესი წარიმართოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად“ - დასძინა ბატონმა დავითმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალი თაობა თავისუფალ და ბედნიერ საქართველოში იცხოვრებს

„ვუერთდები თქვენს დიდ სიხარულს და გამოვთქვამ საფუძვლიან რწმენას, რომ ჩვენი სკოლების მოსწავლეთა დღევანდელი თაობა ღირსეულად განაგრძობს სახელოვან ტრადიციებს და შრომისმოყვარეობით, სიბეჯითით,ცოდნის მწვერვალებისაკენ დაუოკებელი სწრაფვით უამრავ სიხარულს გვაზიარებს“. - აღნიშნა ბატონმა ვარლამმა.

მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა, მარინე ხვედელიძემ, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, ნინო კიკნაძის, სახელით პირველკლასელებს საჩუქრად „დედა ენა“ გადასცა და პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

„15 სექტემბერი ჩემთვის, როგორც სკოლის დირექტორის, მასწავლებლისა და პირველკლასელის დედისთვის ამაღელვებელია. 21 პირველკლასელი რწმენითა და მონდომებით გაუყვება ცოდნის მწვერვალისაკენ მიმავალ ფართო გზას. თითოეულ მათგანს მივულოცავ ცხოვრების საინტერესო ეტაპზე გადასვლას. მწამს, ეს გოგო-ბიჭები საქართველოს ნათელი მომავალია. 2016 — 2017 სასწავლო წლის დაწყება, მინდა მივულოცო ასევე ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს. უფლისაგან დალოცვილი გზებით გევლოთ და წარმატებები არ მოგკლებოდეთ!“

ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ასევე N2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ, და გასული სასწავლო წელი შეაჯამა. მისივე თქმით, 2015-2016 სასწავლო წელი მე-2 საჯარო სკოლისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. ბატონმა ვალერიმ „ვეფხისტყაოსნითა“ და სიგელებით წარმატებული მოსწავლეები და პედაგოგები დააჯილდოვა. დაწყებით საფეხურზე საუკეთესო მოსწავლის წოდება საბა მესხმა მიიღო, საბაზო საფეხურისნონა მაჭავარიანმა, ხოლო საშუალო საფეხურის საუკეთესო მოსწავლე კესო შარიქაძე გახდა. პედაგოგებიდან გამოირჩნენ: დაწყებით საფეხურზე ლია სანიკიძე, საბაზო და საშუალო საფეხურზე გოჩა ჭყოიძე, საუკეთესო დამრიგებლის წოდება კი რუსუდან თაბაგარმა მიიღო.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში პირველად წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია სოფელ ვანში აკურთხეს

10 სექტემბერს ხარაგაულში მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე) და მამა ანტონმა (სულთანიშვილი) წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია აკურთხეს. პატარა ტაძარი სოფელ ვანში ულამაზეს ადგილზე მდებარეობს და იგი ერთადერთია ხარაგაულში, რომელიც წმიდა ნინოს სახელზეა აგებული. ტაძარი საკუთარი ფინანსებითა და თანასოფლელთა დახმარებით როლანდ ტაბატაძემ 2001 წელს ააგო. 2015 წელს კი ეკლესია გიორგი ვართაგავამ მოხატა.

ტაძრის კურთხევას მარგვეთისა და უბისის ეპარქიის წარმომადგენლები, საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით კიკნაძე და სოფელ ვანის მოსახლეობა ესწრებოდნენ.

როლანდ ტაბატაძე: „წინაპრებისგან მსმენია, რომ აქ ადრე წმინდა ნინოს ჯვარი იყო აღმართული. 1998 წელს ჯვარი აღვადგინე და გამიჩნდა სურვილი, რომ ამ ლამაზ ადგილას პატარა ტაძარი ამეშენებინა. პროექტი არჩილ მინდიაშვილმა 2000 წელს სრულიად უანგაროდ გადმომცა და უკვე 2001 წელს ტაძრის აგება დავასრულეთ. უფლის ნებით, სოფელ ვანს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია ამშვენებს. მინდა, თითოეულ შემომწირველს დიდი მადლობა გადავუხადო. მჯერა, ქართველები ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. “

ტაძრის კურთხევა მიულოცა ადგილობრივებს საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით კიკნაძემ: „სასიხარულოა, რომ სოფელ ვანში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი აშენდა და იქ წირვა-ლოცვა აღევლინება. ეს იმის მანიშნებელია, რომ ადამიანები დედა ეკლესიის ნიაღს უბრუნდებიან. აღნიშნული ტაძარი როლანდ ტაბატაძის დიდი ძალისხმევით აიგო. მან დიდი დრო, ენერგია და ფინანსები მოახმარა ტაძრის მშენებლობას. ადგილი, სადაც ტაძარია აშენებული, ძალიან კარგადაა შერჩეული. აქედან ხელისგულივით მოჩანს ხარაგაულის ულამაზესი ბუნება. ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ტაძრების მშენებლობის კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. 30 წლის წინ თუ ტაძრების რაოდენობა, საქართველოში 70 - მდე იყო, დღეს უკვე 1 200-ზე მეტი მოქმედი ტაძარია. მათ რიცხვს უკვე შეემატა ვანის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია.“

ტაძრის კურთხევის შემდეგ მრევლს მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე) მიმართა: „გილოცავთ დღვანდელ დღეს, დღეს, რომელიც ყოველთვის გამორჩეული იქნება ამ სოფლისა და ჩვენი ეპარქიისთვის. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ტაძარი პირველია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რომელიც წმინდა ნინოს სახელზე აიგო. მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის. მიხარია, შეგვწევს ძალა იმისა, ვაშენოთ ტაძრები, რომლებსაც ღმერთამდე მივყავართ. უფალმა დაგლოცოთ ყველა, ვინც ამ ტაძრის მშენებლობაში მიიღეთ მონაწილეობა. განსაკუთრებით მინდა, დავლოცო ბატონი როლანდი, რომელმაც ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა ტაძარი ასეთი ლამაზი გამოსულიყო. მადლობა იმ ღვაწლისთვის, რაც თითოეულმა თქვენგანმა გაიღეთ. ღმერთმა დალოცვილები გამყოფოთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა.“

მარიანა ბურჯალიანი

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ტენდერი გამოცხადდა

2015-2016 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ საქართველოს მთავრობის N1553 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 204 900 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა ძირითადად გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაობისა და გაბიონების მოსაწყობად დაიხარჯება. სამუშაოების განხორციელების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ტენდერი უკვე გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები უახლოეს დღეებში გამოვლინდება და აღნიშნული თანხით შემდეგი პროექტები განხორციელდება:

სოფელ ბაზალეთში - დევდარიანების საუბნო გზის შეკეთება;

სოფელ ბაზალეთში - ჭიპაშვილების საუბნო გზის შეკეთება;

სოფელ ღარიხევში - ცენტრალური გზის შეკეთება;

სოფელ ვახანში - ცენტრალური გზის შეკეთება;

სოფელ ვახანში - შიგა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

სოფელ ვახანისა და სოფელ სერბაისის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენა;

ვარძიაში - შიგა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - განმენდა;

კიცხის პირველ უბანში - გზების, სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარი ბოგირების რეაბილიტაცია;

სოფელ ბორში - გზის, სანიაღვრე არხისა და წყალგამტარი ბოგირის რეაბილიტაცია;

სოფელ ქვებში -ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ნებოძირში - დაზიანებული გზის მონაკვეთების შეკეთება;

სოფელ დეისში- დაზიანებული გზის მონაკვეთების შეკეთება;

ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლაშის, უჩამეთის, ხემაღლისა და იგორეთის სასოფლო გზების შეკეთება;

სოფელ ზვარეში- შიდა საუბნო გზის შეკეთება;

სოფელ ჩრდილში -კაოთისა და კოშკის უბანში გზების შეკეთება;

სოფელ ფარცხნალში- არღუნაშვილების უბანში წყალგამტარი რგოლების განმენდა;

სოფელ ახალსოფელში- ოკიშურის ცენტრალური გზისა და სანიაღვრე არხის შეკეთება;

სოფელ ახალსოფელში- წყალგამტარი ბოგირის შეკეთება;

სოფელ ახალსოფელში- ბოღოღიანების უბანში წყალგამტარი ბოგირისა და გზის შეკეთება;

ღუდუმექეთში- ხიდბოგირის რეაბილიტაცია;

სოფელ ისლარში- ნაპირსამაგრის მოწყობა;

სოფელ ისლარში -გაბიონის მოწყობა;

სოფელ ჩხერში- ცენტრალური გზის გასწორხაზოვნება;

სოფელ ზარანში - ცენტრალური გზის გასწორხაზოვნება;

ხიდარში - სოფლის დასაწყისში, დაზიანებული გზის მონაკვეთის შეკეთება;

სოფელ ხიდარში - დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია და მდინარის კალაპოტის გაწმენდა;

სოფელ ხიდარში - საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის შეკეთება;

ხიდარში - მთის გზის გასწორხაზოვნება;

ხიდარში -ჯორტების საუბნო გზის გასწორხაზოვნება;

ხიდარში- მასხარიშვილების საუბნო გზის გასწორხაზოვნება;

ღორეშაში - საუბნო გზებისა და წყალგამტარი მილების გაწმენდა - რეაბილიტაცია;

ღორეშაში - საჯვარე - მარიამწყაროს გზისა და წყალგამტარი მილების შეკეთება-გაწმენდა;

ღორეშაში- სოფლის წისქვილის არხის შეკეთება;

ლახუნდარაში- ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;

წიფისა და გუდათუბნის დამაკავშირებელი ხიდ-ბოგირის შეკეთება;

ხუნევში- კოშკის უბნის გზის შეკეთება;

ვერტყვიჭალაში - ცენტრალური გზის შეკეთება;

ვერტყვიჭალაში - ზ.ლურსმანაშვილის საცხოვრებელი სახლის საყრდენი კედლის აღდგენა;

ხევში - საავტომობილო გზის შეკეთება;

წაქვაში - საავტომობილო გზის შეკეთება;

გრიგალათში - საავტომობილო გზის შეკეთება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად 204 900 ლარი დაიხარჯება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში პირველკურსელებთან შეხვედრა გაიმართა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

და ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგი, ზეინაბ ბუაჩიძე. „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ასეთი თაობა ჰყავს. თითოეულ სტუდენტს გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. აქ არიან ჩემი უსაყვარლესი მოსწავლეები, რომლებითაც ნამდვილად ვამაყობთ ყველა. ბევრი თქვენგანი სწავლას და მოღვაწეობას ალბათ საზღვარგარეთაც გააგრძელებს. ჩემი სურვილია, თქვენი პატარა სამშობლო, პატარა მინა - წყალი, თქვენი ხარაგაული, არასდროს დაივიწყოთ.“

საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, პირველკურსელებს მიესალმა და ცოდნის ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება უსურვა.

შეხვედრის შემდეგ პირველკურსელებმა ისტორიული მუზეუმი დაათვალიერეს. მცირე ექსკურსი მათ ამავე სამსახურის თანამშრომელმა, ირმა დეკანოსიძემ, ჩაუტარა. მუზეუმიდან ახალგაზრდებმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამლოცველო სახლში გადაინაცვლეს, სადაც მამა ანტონმა (სულთანიშვილი) მათთვის პარაკლისი აღავლინა.

ღონისძიების დასასრულს, ტურიზმის ცენტრის თანამშრომლების მიერ სტუდენტებისთვის კაფე - საღამო გაიმართა, სადაც სხვადასხვა სახის გასართობი შეჯიბრება მოეწყო. გამარჯვებულები მამუკა ჭიპაშვილისა და იზა ვეფხვაძის წიგნებით დასაჩუქრდნენ.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სკოლის დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა

12 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სკოლის დირექტორებთან თათბირი გაიმართა. თათბირზე, რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, 2016-2017 სასწავლო წელთან დაკავშირებით ისაუბრა და 8 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავასთან გამართული შეხვედრა მიმოიხილა.

დავით კიკნაძემ დირექტორებს ახალი სასწავლო წლის დაწყება და ტრენინგ-კურს „ლიდერის“ წარმატებით გავლა მიულოცა. მისი განცხადებით, 25 წლის განმავლობაში წელს პირველად ხარაგაულში პირველკლასელთა მატება დაფიქსირდა და სკოლაში 204 პირველკლასელი შევიდა.

დავით კიკნაძემ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ალექსანდრე ჯეჯელავას ინფორმაციით, 2017 წლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 100 მილიონი ლარით გაიზრდება. მისივე თქმით, სკოლის დირექციისთვის, ტექნიკური პირებისა და რესურსცენტრის თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა იგეგმება.

შეხვედრაზე დავით კიკნაძემ მთავრობის დადგენილებაც გააჟღერა, რომელიც პროექტ „ეტალონს“ (ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი) ეხება. მომავალში ის მუნიციპალიტეტი, საიდანაც „ეტალონში” გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდება, რამდენიმე მილიონ ლარს მიიღებს. ამ თანხით კი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

გედსამანიაში სოფლის ცენტრალური გზის მობეტონება მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის მონაკვეთი იმ პროექტთა შორის ერთ-ერთია, სადაც გზის რეაბილიტაცია ხორციელდება. სამუშაოები მთავარი მაგისტრალიდან სოფლის ცენტრამდე გზის 3 კმ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებაც. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 439 428 ლარს შეადგენს.

სოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას შ.პ.ს „დალა 73“ ახორციელებს. გედსამანიაში 3 კმ-იანი გზის მობეტონების სამუშაოები თვის ბოლოსთვის დასრულდება.

ეკა შავიძე

ბაზალეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთიდან ღარიხევის გადასახვევამდე ერთკილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია დასრულდა. გზაზე ასფალტის საფარი დაიგო და სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „საპოვნელამ“ შეასრულა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მის განსახორციელებლად 230 249 ლარი დაიხარჯა.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში 2.5 კმ. სიგრძის გზას რეაბილიტაცია გასულ წელს ჩაუტარდა.

აღსანიშნავია, რომ გზის მონაკვეთი ამ დრომდე სრულად ამორტიზებული იყო, რაც მგზავრებისა და ტრანსპორტის გადაადგილებას საფრთხეს უქმნიდა. ახლა კი მოქალაქეებს კომფორტულ და მოწესრიგებულ გზებზე უწევთ გადაადგილება.

ეკა შავიძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა

რამდენიმე წელია, რაც საქართველოში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება. მისი ძირითადი მიზანი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მოგვარება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბევრი პრობლემა გადაწყდა. სოფლის კრებებზე მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტები დაფინანსდა და მათზე მუშაობა შეფერხებების გარეშე ხორციელდება. მიმდინარე წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 685 310 ლარი გამოეყო.

აღნიშნული თანხის ფარგლებში გზები მოიხრეშა ბორითში, ღორეშასა და ხუნევში, რისთვისაც ჯამში 13 500 ათასი ლარი გამოიყო. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა ი/მ „ბაგრატ გაგოშიძემ” შეასრულა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ვანის ცენტრალურ გზაზე, სხლითში (ტოროშელიძეების უბანში), ღუდუმექეთსა და ახალსოფელში. პროექტის განსახორციელებლად 19 110 ლარი დაიხარჯა.

ამორტიზებული გზების შეკეთება აქტიურად მიმდინარეობს ასევე ვახანში, ზვარეში, წიფაში, კიცხსა და წყალაფორეთში.

პროგრამის ფარგლებში უახლოეს მომავალში გზების რეაბილიტაცია იგეგმება ლეღვნისა და ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ბორითში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოხდა მავთულბადის, სასწორის, ტაროიანი სიმინდის საფქვავი მიქსერისა და პროექტორის შესყიდვა. სოფელ ვახანში მოსახლეობამ ასაწყობი რკინის კონსტრუქცია (სეფა) შეიძინა. ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში სამშენებლო ქვის (ბლოკის), წისქვილის ქვისა და კონდიციონერის შესყიდვა განხორციელდა. წყლის ავზები შეიძინეს ბაზალეთის, სარგვეშისა და ბორითის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობამ.

ლაშე, ბაზალეთი, სარგვეში, ღორეშა, ბორითი, წიფა, ზვარე, მოლითი, ვახანი, ფარცხნალი და კიცხი ის სოფლებია, სადაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობისთვის პოლიეთილენის მილები შეიძინეს. ასევე სხვადასხვა საჭიროებისთვის ცემენტი შეისყიდეს ლაშის, ბაზალეთის, ღორეშის, ბორითის, მოლითისა და ვახანის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის.

კიცხსა და ხუნევში სოფლის პროექტებით, მოეწყო საყრდენი კედლები. ნადაბურსა და ხუნევში ღობეები გაკეთდა. სამუშაოების განსახორციელებლად 17 763 ლარი დაიხარჯა.

წიფის, ვახანისა და ფარცხნალისათვის თუნუქის სახურავის შესყიდვა მოხდა. ასევე წიფის მოსახლეობისათვის ხელის (სათიბი) ტრაქტორი შეიძინეს.

ბორითის, მოლითის, ვახანისა და ზვარის ადმინისტრაციული ერთეულების სარიტუალო დარბაზებისთვის ჭურჭელი შეიძინეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საერთაშორისო კამპანიას - „დავასუფთავოთ მსოფლიო“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა

14-16 სექტემბერს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია — „დავასუფთავოთ მსოფლიო“ (Clean Up the World) ტარდება, რომელიც 1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით დაფუძნდა. კამპანია სექტემბრის თვეში ტარდება და მასში 130-მდე ქვეყანა მონაწილეობს.

პროექტი გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შიდა) ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება. აქციას საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრები, საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ ახორციელებენ. პროექტის „დავასუფთავოთ საქართველოს“ მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში.

დასუფთავების აქციები პროექტის ადგილობრივი კოორდინატორების ორგანიზებით ქვეყნის ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში ტარდება. აქციაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურები და ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლები ჩაერთნენ. გამგეობის თანამშრომლების მიერ ნარჩენებისაგან გამგეობის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა. ხოლო ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ ძალისხმევით - კიცხის ბაზრის, ბაღისა და ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიები.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა ტარდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის ორგანიზებით ხარაგაულში სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა ტარდება. 19 სექტემბერს, სამოყვარულო ფეხბურთის ლიგის ფარგლებში, ხარაგაულში პირველი შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს ბორითისა და კიცხის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ბორითის გუნდის სასარგებლოდ 7:2 დასრულდა. გამარჯვებული გუნდი ფინალში დაბის გუნდს შეხვდება. ფინალში გამარჯვებული კი მონაწილეობას რეგიონალურ თამაშში მიიღებს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კიცხსა და წყალაფორეთში პროგრამის ფარგლებში მაგისტრალური წყალსადენების აღდგენითი-სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა. კიცხში ასევე მოხდა 8 ტონიანი რკინის ავზის შესყიდვა.

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში თანხა გამოიყო სარიტუალო სახლის მშენებლობის დასრულებისთვის. ბაზალეთში, დიდვაკეში, მოლითსა და სარგვეშში დასასვენებელი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა.

წყალსადინარი არხების გაწმენდის სამუშაოები განხორციელდება ლეღვანში, საღანძილესა და ფარცხნალში.

კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზო ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა შპს “ბორჯიმ“ განახორციელა და საერთო ჯამში 6 006 ლარი დაიხარჯა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება. ეს მხოლოდ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალია, რომლებიც უკვე შესრულდა.

ეკა შავიძე

განცხადება

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას საფორტეპიანო და ვიოლინოს განყოფილებებზე: I — VIII კლასის ჩათვლით.

საბუთების მიღება ყოველ სამუშაო დღეს 13სთ-დან 17სთ-ის ჩათვლით.

ტელ: 22 15 70

ცხოვრება ჯაცისა...

ხარაგაულის ინტელექტუალურ- ზნეობრივმა საგანძურმა დიდი დანაკლისი განიცადა. 2016 წლის 11 სექტემბერს 85 წლის ასაკში მარადიულობაში გადასახლდა პრამონ აბრამიშვილი.

ზესტაფონის რაიონის სოფელ რკვიაში, მარიამ და ტარასი აბრამიშვილების გამრჯე, მრავალშვილიან ოჯახში, დაიბადა იგი. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში. სანიმუშო სტუდენტად ითვლებოდა, მისი ნიჭიერება „საზღვრებსაც“კი გასცდა და სამართალდამცავებთან მოუწია ურთიერთობამ იმის გამო, რომ მეოცე ფაქტზე წაასწრეს, როცა მეგობრების ნაცვლად აბარებდა გამოცდებს. მისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების წლებმა დაადასტურა, რომ ეს მისი ერთადერთი „შეცდომა“ გახლდათ, რომელიც მეგობრებისთვის არაერთხელ გაუმეორებია შემდგომშიც სხვადასხვა ფორმით და ასპექტით, მაგრამ ისე, რომ სამართალდამცავები აღარ ჩარეულან. იშვიათად შეიძლება ნახო მეგობრობის ისეთი სიყვარულით და ერთგულებით მადლომოსილი ადამიანი, როგორიც პარამონ აბრამიშვილი გახლდათ.

სრულიად ახალგაზრდამ იქორწინა უმშვენიერეს დარეჯან ლომიძეზე... და ვინაიდან მისი რჩეული, ოჯახის ერთა და იმედი იყო, ანგარიში გაუწია ამ დიდ სიყვარულს და საცხოვრებლად მის ოჯახში გადავიდა, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაზალეთში. ეს ის წლები გახლდათ, როცა კოლმეურნეობებისათვის ასეთი კადრი საოცნებო იყო, გაუმართლა ბაზალეთს და ბაზალეთლებს, ის ბაზალეთის კოლმეურნეობაში ჯერ აგრონომად, შემდეგ კი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. მან დიდ პროფესიონალიზმთან და საქმის სიყვარულთან ერთად შეუვალი ავტორიტეტი მოიპოვა. ჯერ კიდევ სრულიად ახლგაზრდა, ჭკუის საკითხავ კაცად ითვლებოდა. აქედან იწყება მისი შრომითი ბიოგრაფიის წლები, რომელიც მომდევნო წლებში არაერთ ნათელ ფურცელს შეიმატებს და საინტერესო წიგნად შეიკვრება.

როგორც სიტყვის გამორჩეულ ოსტატს და მეორადი პროფესიით ჟურნალისტს, პრამონ აბრამიშვილს ზესტაფონის რაიონულ გაზეთ „ლენინელში“ იწვევენ. ათეული წლები იმუშავა მან ამ გაზეთში ჯერ სოფლის მეურნეობის, შემდეგ კი საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. მას ფართო ასპარეზი ეძლევა ადამიანებთან ურთიერთობის, მართალი სიტყვის ხალხის სამსახურში ჩაყენების. სიტყვაკაზმულობით და ობიექტური ჟურნალისტის სახელით აგრძელებს ბრძოლას ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. იქაც მეგობრების სული და გულია, აქაც თავისი ცხოვრებით „მეგობრობის საგალობელს“ წერდა.

როგორც ნიჭიერ და პერსპექტიულ კაცს უთვალავი შეთავაზება აქვს, ბოლოს არჩევანს აკეთებს და თანხმდება – მე-20 საუკუნის 70-იან წლებში იგი ხარაგაულის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება. ამ თანამდებობაზე კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოჩინდა მისი პიროვნული თვისებები: პრინციპულობა, შეუვალობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. მისი სახელი ასოცირდება სამართლიანობასთან. იმ რთულ წლებში ახერხებს, რომ სრულიად გაუსვრელ-გაულანძღავი ემსახუროს ქვეყანას და ადამიანებს.

80-იანი წლებიდან თავის პირვანდელ პროფესიას - სოფლის მეურნეობას უბრუნდება და ხარაგაულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსია. აქაც თავის გამორჩეულ სიტყვას ამბობს და შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს ამ დარგის ასაღორძინებლად.

მის ცხოვრებაში ერთმანეთს ჩაეხლართ-ჩაეკვანძა ჟურნალისტიკა და სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობა, გული ხან ერთისკენ მიუწევდა, ხან მეორისკენ, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, კალამი მისი მახვილი იყო სამართლიანობის გზაზე. ის ახერხებს და თანაბრად უმკლავდება სოფლის მეურნეობის, ჟურნალისტიკის, სახელმწიფო აღმშენებლობის გამოწვევებს. ზოგჯერ რთულია ასეთი გზით სიარული, სიმართლე ყველას არ უყვარს, მაგრამ მტკიცე შინაგანი მორალით ამ სირთულეებსაც ძლევს და ყოველთვის იმარჯვებს.

იმ უმძიმეს 80-90-იან წლებში, როცა სახელმწიფო სტრუქტურები რღვევას განიცდიდა, კვლავ ჟურნალისტიკას დაუბრუნდა, ამჯერად უკვე ხარაგაულის რაიონულ გაზეთში „ლენინის დროშით“, შემდგომში კი „იმერეთის კარი“... ბულბული და კოდალა ეჯდა ერთდროულად კალამზე. ულამაზესი ენითა და პროფესიონალიზმით დაწერილ წერილებს თან სდევდა კრიტიკა და შეურიგებლობა უზნეობასთან, უსამართლობასთან, კორუფციასთან, მომხვეჭელობასთან. მანამ აკაკუნებდა თავის ბასრ კალამს , სანამ შედეგს არ მიაღწევდა. მისი საგაზეთო პუბლიკაციები ზნეობის, შეუვალობის, სამართლიანობის და ადამიანობის იშვიათ მაგალითს აძლევდა მრავალრიცხოვან მკითხველს, განსაკუთრებით კი მომავალ თაობებს. ამ გამორჩეული თვისებების გამო პრამონ აბრამიშვილი, ხდება რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი. ასე თანმიმდევრულად, რთული გზებით და დაუღალავი შრომით, ღრმა პროფესიონალიზმით და პასუხისმგებლობით ყალიბდება მისი განუზომელი ავტორიტეტი, სამართლიანი კაცის შეუვალი სახელი და გამორჩეული ადგილი საზოგადოებაში.

საზოგადოებრივ ასპარეზზე არ დაჰკლებია მედლები და ჯილდოები, მადლობები და სიგელები, სიყვარული და პატივისცემა. დამსახურებისამებრ, ხელისუფლების უმაღლესმა ჯილდომ - ღირსების ორდენმა - დაამშვენა მისი ბიოგრაფია, მაგრამ არსებობდა მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - ოჯახი, სადაც ისეთივე პირნათელი, ღირსეული და გამორჩეული იყო, როგორც ცხოვრების ყველა დანარჩენ სფეროში. სამი შვილი, სამი შვილიშვილი, ორი შვილთაშვილი, ყველანი საუკეთესონი და ღირსეულნი, ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელნი, წინაპართა პატივისმცემელნი და გამორჩეული ქართველები. რამდენიმე წლის წინ დაჰკარგა ღირსეული მეუღლე და სიყვარული, ვის გამოც, 60 წლის წინ მშობლიური რკვია დატოვა და ბაზალეთში გადმოსახლდა... უმძიმესი დარტყმა იყო მისთვის დარეჯან ლომიძის ამქვეყნიდან წასვლა, ღირსეულად გაუძლო და შვილებს უფრო მტკიცედ შეაშველა მხრები.

ბოლო წლებში ავადმყოფობა მიეძალა, ჯიუტად ებრძოდა, არ დამორჩილდა, მაგრამ როდემდე...

კაცად დაიბადა, კაცურად იცხოვრა, კაცურად წავიდა, კაცის სახელი დატოვა... ადამიანის ამქვეყნად მოვლინების არსიც სხვა რა გახლავთ, წუთისოფელში თავისი წილი ხნული გაავლოს, მერე წავიდეს და ცრემლი გაიყოლოს , სააქაოს კი სახელი დატოვოს...

ეს იშვიათთა ხვედრია... პრამონ აბრამიშვილმა ეს შეძლო...

მე ბედმა მარგუნა ეს იშვიათი შემთხვევითობა: მისი მეზობელი ვყოფილიყავი, მისი ზნეობრივი გაკვეთილებისთვის მეცქირა, შემდგომ კოლეგაც გავმხდარიყავი და თავი მომეწონებინა იმით, რომ მისი უმცროსი მეგობარი და საყვარელი შეგირდი ვიყავი... როგორც ჩემთვის უსაყვარლესმა ადამიანმა და ცხოვრების უბადლო მასწავლებელმა, ჩემი გულის დიდი ნაწილი წაიღეთ, პრამონ ბიძია, ბატონო პრამონ, დიდო ადამიანო, დიდო კაცო!...

ნათელი თქვენს სულს და მარადიულ ხსოვნას... ვერასოდეს დაგივიწყებთ, გავყვებით თქვენს გათელილ ბილიკებს... გვწამს, რომ თქვენ მარადიული საუფლოდანაც გაგვიადვილ-გაგვილამაზებთ ცხოვრებას.

იზა ვეფხვაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12